

# პეტრე ოცხელი

„ჩემო პეტრიკელა. ბედმა უდიდესი ნიჭით დაგაჯილდოვა და შენ მის წინაშე ვალში ხარ. შენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ხარ და სიკვდილზე არ ფიქრობ. სულელური სიტყვაა სიკვდილი. სიკვდილი არ არსებობს. ის, რასაც დატოვებ შენს შემდეგ, ერთგვარი გამარჯვებაა იმაზე, რასაც ეწოდება სიკვდილი, ანუ სრული დავინყება.“

შენი კ. მარჯანიშვილი“. 1933 წელი.

თეატრისა და კინოს მხატვარი პეტრე ოცხელი დაიბადა 1907 წელს 25 სექტემბერს ქუთაისში. მამა – გრიგოლ ოცხელი, დედა – ელენე ხოჯევიანიშვილი. ჰყავდათ ოთხი შვილი: ნატაშა, ნინო, პეტრე და ლევანი. 1913 წელს ოჯახი საცხოვრებლად მოსკოვში გადავიდა. გრ. ოცხელს სერპუხოვსკაიაში კავკასიური მაუდის ფაბრიკა ჰქონდა. 1914 წ. ოთხივე შვილი მიაბარეს კათოლიკურ ეკლესიასთან არსებულ წმ. ფილიპე დე ნერის სახელობის ფრანგულ რეალურ სასწავლებელში. პეტრე კარგად სწავლობდა, ჰქონდა ხატვის ნიჭი და იუმორის გრძნობა. ოჯახში ხშირად მოწყობილ კონცერტებზე ბავშვები ფორტეპიანოზე უკრავდნენ. ოცხელების ოჯახურ არქივში ინახება ერთ-ერთი ასეთი კონცერტის პროგრამა. ასევე დგამდნენ სპექტაკლებს, რომელსაც პეტრე და ლეო აფორმებდნენ. თეატრში სიარული ოჯახურ ტრადიციად ითვლებოდა, სადაც პეტრე სპექტაკლის ჩანახატებს უბის წიგნაკში აკეთებდა.

1918 წელს სუსტი ჯანმრთელობის გამო, ძმები ქალაქგარეთ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში მიაბარეს. ხატვის მასწავლებელმა, რომელმაც მაშინვე სათანადოდ შეაფასა პეტრეს ნიჭი და დაავალა სასკოლო სპექტაკლის „გერია“-ს („კონკია“) დადგმის გაფორმება. 11 წლის პეტრემ აკვარელში, მუყაოზე დახატა და გამოჭრა „გერია“-ს („კონკია“) ყველა პერსონაჟი. უმცროს ძმასთან ლეოსთან ერთად გააკეთა მაკეტი და მიზანსცენაში ჩასვა პერსონაჟები. მაკეტმა ისეთი მოწონება დაიმსახურა, რომ მოსკოვში გამოფენაზე გააგზავნეს.

1920 წელს ოჯახი ქუთაისში გადმოსახლდა. პეტრემ სკოლაში სწავლა გააგრძელა. პარალელურად, იგი სკოლასთან არსებულ სამხატვრო სტუდიაში ხატვასაც ეუფლებოდა. მისი ხატვის მასწავლებლის, ივანე ჭეიშვილის მოგონებას პირველად ვაქვეყნებთ: „ქართული თეატრის სიამაყე, ახალგაზრდა სიცოცხლით სავსე, შავგრემანი ახალგაზრდა ყმაწვილი პეტრე ოცხელი, ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში იჩენდა მიდრეკილებას ხატვაში. სკოლაში იგი იყო წყნარი, მშვიდი, თავაზიანი, ზრდილობიანი მოსწავლე. გარეგნული შეხედულობითაც ემჩნეოდა აკურატობა და სიფაქიზე. ეცვა სადად და ლამაზად. სიარულშიდაც იყო დინჯი. ლაპარაკი იცოდა ნელი და დაკვირვებული. არ იყო უხეში, უყვარდა ამხანაგები. სწავლობდა კარგად. მასწავლებლები იყვნენ მისი მადლიერი. სამხატვრო სტუდია მქონდა იმ სკოლაში, რომელშიდაც იგი სწავლობდა (ახლანდელი ილიას უნივერსიტეტი მ. მ.). პეტრე სიამოვნებით დადიოდა ამ სტუდიაში და გატაცებით მუშაობდა. ხატავდა დაუღალავად, არ იქანცებოდა.“

სწავლობდა ფრიადზე და იყო ერთ-ერთი მოწინავე მოსწავლე. არ ყოფილა დღე, რომ სამხატვრო სტუდიაში არ მოსულიყო. სკოლაში დადგმულ საბავშვო პიესებს პეტრე აფორმებდა, ხატავდა კოსტიუმებს, რომლებიც გემოვნებით იყო შესრულებული. ბავშვობიდანვე სცენისადმი სიყვარული ემჩნეოდა. კარგად ფლობდა ფერებს, ფანქარშიდაც მაგარი იყო.

მისი ნახატები ყოველთვის იქცევდნენ ყურადღებას. ამდენად იგი სამხატვრო სტუდიაში 5 წლის სწავლისა და საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სამხატვრო აკადემიაში ფრიადებზე აბარებს გამოცდებს. ჯერ კიდევ სტუდენტი წარუდგინეს დიდ ხელოვანს, კოტე მარჯანიშვილს, რომელსაც მისი ნამუშევრები მოეწონა და თეატრის მთავარ მხატვრად დაამტკიცა. პეტრე ოცხელის დადგმები მოწონებას იმსახურებდნენ

და მას მოსკოვშიც იწვევდნენ. იგი იყო საყვარელი, სპექტაკლი, ფაქიზი, კეთილი, მართალი და შრომის მოყვარე ადამიანი. ამხანაგებში სარგებლობდა სიმპატიით“ (1958 წ. 14 აპრილი, ავტორის სტილი დაცული).

1925 წელს პ. ოცხელი თბილისში ქირაობს პატარა ოთახს დერბენდის შესახვევში (ბარნოვის ქუჩასთან) და წარმატებით აბარებს გამოცდებს სამხტვრო აკადემიაში ფერწერის ფაკულტეტზე. აქ მან ხატვის შესანიშნავი სკოლა გაიარა ისეთ ოსტატებთან, როგორებიც იყვნენ იოსებ შარლემანი და ევგენი ლანსერე. ჩვენს მუზეუმში დაცულია პ. ოცხელის სამხტვრო აკადემიის სტუდენტის ნიგნაკი „ფერებით წერის ფაკულტეტი, 1925 წ.“ მარინე ოცხელის ოჯახურ არქივში ინახება მეორე სტუდენტის ნიგნაკი, სადაც მინიშნებულია „ხუროთმოძღვრების“ ფაკულტეტი. 1926-27 წწ. როგორც ჩანს, მან ჯერ ფერწერის ფაკულტეტზე ჩააბარა, შემდეგ, მამის რჩევით, არქიტექტურის ფაკულტეტზე გადავიდა, ხოლო როგორ მოხვდა პეტრე ოცხელი მუშათა თეატრში მხატვარ გამფორმებლად-ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება.

1927 წელს პ. ოცხელმა გააფორმა მუშათა თეატრის სპექტაკლი, ა. ლუნაჩარსკის „ცეცხლის გამჩაღებლები“. სპექტაკლში მონაწილეობდა კოტე მარჯანიშვილის მეუღლე, ელენე დონაური და, ცხადია, სპექტაკლს დიდი რეჟისორიც დაესწრო, რომელმაც ნიჭიერი ახალგაზრდა თეატრში მიიწვია. ამ დღიდან მოყოლებული კ. მარჯანიშვილს პეტრე გვერდიდან არ მოუცლებია და თეატრის მთავარი მხატვარი გახდა. მათი პირველი ერთობლივი დადგმა, 1928 წელს ქუთაის-ბათუმის თეატრში, კომპიზიტორ თამარ ვახვახიშვილთან ერთად იყო შ. დადიანის „კაკალ გულში“. სადადგმო ხარჯების ნაკლებობის გამო, პეტრემ მინიმალური საშუალებებით ეფექტურ შედეგს მიაღწია. გააკეთა მოძრავი, მოხატული ჩინური თეჯირი (შირმა) და დიდი შუქფარი („აბაჟური“). ამ სპექტაკლით საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ახალ ჟანრს – მუსკომედიას. 1929 წელს კი ერთობლივად განახორციელეს დღემდე დაუვიწყარი სპექტაკლი კ. გუცკოვის „ურიელ აკოსტა“.

რეჟისორ დ. ჩუბინიშვილის დოკუმენტურ ფილმში „ჩემი ბიძა პეტრე ოცხელი“ (2002 წ.) მარინე ოცხელი იხსენებს მისი დედის, ნინოს მონაყოლ ეპიზოდს: „კოტე მარჯანიშვილმა თამარა ვახვახიშვილს სთხოვა მოენახულებინა პეტრე და ენახა თუ როგორ მუშაობს სპექტაკლ „ურიელ აკოსტა“-ს მხატვრულ გადანწყვეტაზე. როდესაც თამარი მივიდა უთხრეს – პეტრე მუშაობსო. კარი შეაღო, პეტრე გარინდებული სავარძელში იჯდა და ჭერს მისჩერებოდა. მაგიდა ცარიელია, არც ერთი ესკიზი არაა მზად. საყვედურებით აავსო პეტრე, ხვალ თეატრში გელოდებიან. სინაგოგამიც და ცეკვებზეც წამოგყევი, ყველაფრით გეხმარები შენ კი არ მუშაობო. არ მესმის რას ჩამაცივდით, მე სულ ვმუშაობ, აი ახლაც. მუშაობ კი არა ჭერს მისჩერებიხარ და ბუზებს ითვლი... მაგრამ, პეტრე, თურმე თავისებურად მუშაობდა. სპექტაკლი ჯერ შინაგანი თვალთ უნდა დაენახა და როცა მთელ დადგმას დეკორაციებით და პერსონაჟებით მხატვრულად გაიაზრებდა, მერე აიღებდა ფუნჯს... მეორე დღეს მან თეატრში მიიტანა დასრულებული მაკეტი კოსტიუმების ესკიზებთან ერთად.“

ჩვენს მუზეუმში, პ. ოცხელის პირად არქივში, დაცულია ალექსანდრე ბურთიკაშვილის წერილი „პეტრე ოცხელის სურათების გამოფენის გამო (მოგონებისთვის)“, სადაც აღწერილია ამ სპექტაკლზე მუშაობის კიდევ ერთი ეპიზოდი. სავარაუდოდ, მოგონება დაინერა 1963 წელს საქართველოში პეტრე ოცხელის ნამუშევრების პირველი გამოფენისთვის, რომელიც გაიმართა საქართველოს თეატრალურ საზოგადოებაში და სრული სახით პირველად ვაქვეყნებთ: „ჩუმი, მორიდებული, ზრდილობიანი, ძუნწი მოლაპარაკე, აი ასეთი მიდგას ეხლა თვალწინ პეტრე ოცხელი. მასზე ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრსაც დაწერენ. მინდა მხოლოდ მოვიგონო დღეები, როცა იქმნებოდა „ურიელ აკოსტას“ დადგმა. კ. მარჯანიშვილმა პიესა დასის თანდასწრებით წაიკითხა, მაგრამ მის ავ-კარგიანობაზე არავითარი სჯა-ბასი არ ჰქონია. კოტემ გადახედა პეტრეს და უთხრა: „ты должен нам помочь – вот пьеса, возьми“ („შენ უნდა დაგვეხმარო-აი პიესა აიღე“ მ. მ.). პეტრემ პიესა გამოართვა და წავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ პეტრემ მაკეტი მოიტანა... კოტე დიდხანს ათვალთვლებდა მას. უცბად რამდენჯერმე თავი ალღევებით გააქნია, პაპიროსი მოსწია, ხელზე საათი გაიკეთა... საყელო გაისწორა აილო მისი განუყრელი ჯოხი და მთელი ძალ-ლონით დაარტყა მაგიდას... დასი სულგანაბრული უცქეროდა მას. ყველას ეგონა ეს-ეს არის ჯოხით დაგვერევაო. ალბათ არ მოსწონსო... ამ დროს კი კოტემ შეჰყვირა: „Гениально, блестяще. bravo Петре bravo, где этот мальчик“ – და დაინახა, რომ პეტრე სცენის სიღრმეში თავ-ჩაქინდრული განითლებული დგას... მივარდა კოტე, ჩაიკრა გულში და რამდენჯერმე გადაკოცნა... ცოტა ხნის შემდეგ დეკორაციებიც აშენდა – სინათლეც დაადგინეს და როცა დასი ერთ დღეს სამუშაოდ გამოცხადდა, დ. ანთაძემ ყველას პარტერში გვთხოვა გავსულიყავით... აიხადა ფარდა და ვიხილეთ უჩვეულო სინაზით ნახელავი დეკორაციები. განათება ხომ მომხიბლავი – თვალწარმტაცი, რამაც დიდი ალტაცება და მოწონება გამოიწვია დასში. იგრილა ოვა-

ციებმა. პირველად ყველას ეგონა, რომ ამ პიესის დადგმით თეატრი დიდი ხარჯების გამო საგრძნობ ზარალს ნახავდა. გამოირკვა, რომ დანარჩენ დადგმულ პიესების ხარჯის მიხედვით ეს ყველაზე იაფი დაჯდა... (თეთრი ბიანი შავად შეღებილი). „ურთელ აკოსტას“ დადგმა და გაფორმება მსახიობთა მიერ შესრულებით ბრწყინვალე შედეგია კოტეს, პეტრეს და მონანილეთა მუშაობისა ქუთაისის ხანაში. გულითადი მადლობა, ვინც გააცოცხლა შესანიშნავი სცენის ოსტატი, სავარდო-სამაისო ქუთაისის მკვიდრი შვილი პეტრე ოცხელი.“

კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით, პ. ოცხელმა არაერთი სპექტაკლი გააფორმა; მათ შორის: პ. შელის „ბეატრიჩე ჩენჩი“ (1930 წ.). გ. ბააზოვის „მუნჯები ალაპარაკდნენ“ (1932 წ.), უ. შექსპირის „ოტელო“ (1933 წ.), ე. რაისის „ჩვენ – ხალხი“ (1934 წ.), შ. დადიანის „ჩატეხილი ხიდი“ (1935 წ.), მოსკოვის კორშის სახ. თეატრში ჰ. იბსენის „მშენებელი სოლნესი“ (1931 წ.) და სხვა.

1936 წელს ვახტანგ აბაშიძემ მიიწვია მოსკოვის მცირე თეატრის სპექტაკლის, ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“-ის გასაფორმებლად. ამას მოჰყვა ვ. გუსევის „დიდება“, დ. სტეპანოვის ოპერა „მესაზღვრეები“ სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახ. მუსიკალურ თეატრში.

პეტრე ოცხელმა თავისი შემოქმედებითი სიცოცხლის მოკლე პერიოდში (1927-1937 წწ.) გააფორმა დაახლოებით 33 სპექტაკლი და ერთი კინოფილმი, ლ. ესაკიას „ფრთოსანი მღებავი“ (1936 წ.).

ჩვენს მუზეუმში დაცულ არჩილ ჩხარტიშვილის პირად არქივში ინახება პეტრე ოცხელის მიერ, მედია ქორელი-ჩხარტიშვილისადმი მოსკოვიდან გამოგზავნილი წერილები, სადაც იგი ახსენებს რუსეთში მის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებს:

„თქვენ გაინტერესებთ, რას ვაკეთებ, აი რას: მცირე თეატრში გავაფორმე (ფორმალ-იზმის გარეშე) სპექტაკლი „დიდება“. იყო არნახული წარმატება, სცენაზე გამომიძახეს (არ ვტრაბახობ, უბრალოდ, როგორც მეგობარს გულახდილად გწერ), შემდეგ, მცირე თეატრის ფილიალში წარმატებით გავაფორმე ორი სპექტაკლი. კიდევ ერთი სპექტაკლი მორდოვის რესპუბლიკაში (გავემგზავრე იქ, იქამც დარჩენილან). გამოვიდა სრულიად მომხიბვლელი საოპერო სპექტაკლი გოლდონის „სახალისო შემთხვევა“, ბებე თუმანოვის დრამისა და კომედიის თეატრში, მაგრამ არა მისი დადგმით. ამჟამად ვმუშაობ სტანისლავსკის საოპერო თეატრის დადგმაზე – „რიგოლეტო“ (ამ სამუშაოზე მოხუცმა მოიწვია რამოდენიმე ახალგაზრდა მხატვარი, შემდეგ ამოარჩევს). ოლონდ გთხოვ, ნუ გამიხმაურებ. ვემზადები მცირე თეატრში „ცხვრის წყაროს“ გასაფორმებლად“ (რუსულიდან თარგმანი მ. მ.).

1937 წელს, მოსკოვში კ. სტანისლავსკის დადგმის, ჯ. ვერდის „რიგოლეტო“-სთვის მონყობილ კონკურსში, პ. ოცხელის ნამუშევარმა გაიმარჯვა, მაგრამ ავტორს მისი განხორციელება აღარ დასცალდა.

**პეტრე ოცხელის რეპრესირებასთან დაკავშირებით, საინტერესოა მისი დაკითხვისა და დახვრეტის ოქმი, რომელიც პირველად ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, გუბაზ მეგრელიძემ გამოაქვეყნა.**

#### ოქმი №56

საქ. სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
სამეულის სხდომისა.

2 დეკემბერი 1937 წ.

ოცხელი პეტრე გრიგოლის ძე. დაბ. 1907 წ. ქართველი, ყოფილ ვაჭართა წრიდან, დაპატიმრებამდე თეატრალური მუშაკი. ოცხელს კავშირი ჰქონდა საზღვარგარეთის ერთ საელჩოსთან, რომელიც საბჭოთა კავშირში დაზვერვით კონტრრევოლუციურ მუშაობას აწარმოებდა.

ბრალად ედება საქართველოს ნაციონალური ცენტრისა და მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორის ს. ი. ამაღლობელის დავალებით შექმნილ კონტრრევოლუციურ-ტერორისტულ ორგანიზაციაში მონაწილეობა. დადანაშაულებულია საქ. სსრ სისხლის სამართლის 58/8, 58/10 და 58/11 მუხლებით.

თავი დამნაშავედ არ სცნო. მხილებულია მოწმეთა ჩვენებებით.

მომხსენებელი – ატაშიანი

დაადგინეს:

ოცხელი პეტრე გრიგოლის ძე. დაბ. 1907 წ. დაიხვრიტოს, პირადი ქონება კონფისკირებულ იქნეს.

1939 წელს ლონდონში მოწყობილ თეატრალურ მხატვართა გამოფენაზე პ. ოცხელმა ოქროს დიდი მედალი მიიღო, მხოლოდ მხატვრის სახელი აღნიშნული არ ყოფილა.

პეტრე ოცხელის მიერ 1920-30 იან წლებში შექმნილი სცენოგრაფიული მხატვრობა დღესაც, XXI – საუკუნეში, ისეთივე ავანგარდულია, როგორც გასული საუკუნის დასაწყისში. გასაოცარია მხატვრის უნარი შექმნას არნახული დიზაინის კოსტიუმები და თეატრალურ-არქიტექტურული დეკორაციები, რომლებშიც ასე მძაფრად იგრძნობა ნაწარმოების ეპოქალური და ეროვნული ნიშნები. მისი მხატვრობისთვის დამახასიათებელია ტრაგიკულის და სატირულის, ზოგადის და კონკრეტულის, რეალურის და პირობითის, მოცულობისა და სიბრტყის ერთმანეთთან შერწყმა. სწორედ ამაში მდგომარეობს მხატვრის გენიალურობა. რეალურ სამყაროში მყოფ მხატვარს ძლიერ იზიდავდა მის წარმოსახვაში არსებული პირობითი სამყარო და მან აირჩია თეატრი, რომელიც საშუალებას აძლევდა, შინაგანი ხედვის თავისუფალი ფრენა თეატრის პირობით ენაზე გადმოეცა.

## პეტრე ოცხელის პირადი საარქივო ფონდი

### ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. პეტრე ოცხელის დაბადების მონუმბა. დამზღვევ სალაროში წარსადგენად.  
უთარილო. დასტამბული. ხელნაწერი. მელანი. ხელს აწერს: მამჩის ბიუროს გამგე, ხელ-  
მონერა არ იკითხება. დამონმებული ბეჭდით. 1 ც.
2. მოსკოვის კათოლიკურ ეკლესიასთან არსებული წმ. ფილიპე დე ნერის ფრანგული  
რეალური სასწავლებლის მონუმბა გაცემული მასზედ, რომ პეტრე ოცხელმა წარჩინებით  
გაიარა პირველი კლასის, პირველი ტრიმესტრის, 1914-15 სასწავლო წელი.  
[1915 წ.] დასტამბული. ფრანგულ ენაზე, შევსებული რუსულად. ხელს აწერს: კლასის გუ-  
ვერნიორი რ. ვორსოვი (P. Ворсов?). მელანი. 1 ც.
3. პეტრე ოცხელის სტუდენტის წიგნაკი. „საქართველოს სამხატვრო აკადემია. ფერე-  
ბით წერის განყოფილება“. ჩარიცხვის წელი – 1925 წ.  
უთარილო. დასტამბული. ხელნაწერი. პ. ოცხელის ხელმოწერით. ხელს აწერს: აკადემიის  
რექტორი, პროფესორი გ. ჩუბინაშვილი. მელანი. დამონმებული ბეჭდით. მუჭი მწვანე  
ყდით. 6 ფ.
4. პეტრე ოცხელის განცხადება „საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირის პრე-  
ზიდიუმს“ მხატვართა კავშირის წევრად მიღების შესახებ, ანკეტური მონაცემებით.  
უთარილო. ნაბეჭდი. ხელს აწერს: პეტრე ოცხელი. შევსებული ხელით. საბუთის უკანა  
მხარეს არის ა. შალუტაშვილის შენიშვნა: „სავარაუდოა, რომ ანკეტა შედგენილია 1933  
წელს.“ ქსეროასლი. 1 ფ.
5. პეტრე ოცხელის დაკითხვის ოქმი. საქმე №40. შინაგან საქმეთა სახალხო კომის-  
არიატი. სახელმწიფო უშიშროების სამმართველო. მონმეების ჩვენების საფუძველზე ბრალი  
ედება: კონტრევოლუციური მუშაობა და ორგანიზაციის წევრობა, რაზეც პ. ოცხელი უარს  
აცხადებს. დაკითხვის: მე-3 განყოფილების უფროსის თანაშ. სახელმწიფო უშიშროების  
უფროსი ლეიტენანტი ხელმოწერა: (გაურკვეველია). მე-2 განყოფილების ოპერწმ. თანაშ.  
სახელმწიფო უშიშროების სერჟანტი. ხელმოწერა: (გაურკვეველია).  
1937 წ. 27 ნოემბერი. დასტამბული. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 7 ფ.

### მოგონებები

6. ივანე ჭეიშვილის მოგონება-დახასიათება პეტრე ოცხელის შესახებ. იგი იხსენებს,  
რომ 5 წლის განმავლობაში პ. ოცხელი სწავლობდა ხატვას ქუთაისის სკოლასთან არსე-  
ბულ სამხატვრო სტუდიაში ივანე ჭეიშვილის ხელმძღვანელობით. პედაგოგი ახასიათებს  
პ. ოცხელს როგორც ნიჭიერ, შრომისმოყვარე და ხელოვნებაში შეყვარებულ ახალგაზრდას,  
საუკეთესო ადამიანური თვისებებით.  
1958 წ. 14 აპრილი. ავტოგრაფი. ხელს აწერს: ივანე ჭეიშვილი. ფანქარი. 2 ფ.
7. ალექსანდრე ბურთიკაშვილის მოგონება პეტრე ოცხელის „სურათების გამოფე-  
ნის გამო“. ავტორი იგონებს დღეებს, როცა იქმნებოდა „ურიელ აკოსტა“-ს დადგმა. კერძოდ,  
აღწერს კონკრეტულ ეპიზოდს, თუ როგორ მოინონა კოტე მარჯანიშვილმა პეტრე ოცხელის  
მიერ სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტა.  
უთარილო. ავტოგრაფი. ხელს აწერს: ალექსანდრე ბურთიკაშვილი. ხელნაწერის უკანა  
მხარეს წარწერა ფანქრით: „ალ. ბურთიკაშვილის არქივიდან.“ მელანი. 2 ფ.
8. ელენე ლუცკაიას მოხსენება საქ. თეატრალურ საზოგადოებაში პეტრე ოცხელის  
გამოფენასთან დაკავშირებით „Беседы о театральных впечатлениях Е. Л. Луцкой.“ სხლო-  
მის თავმჯდომარე: ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დავით ჩხეიძე.  
პირი: ელენე ლეონიდეს ასული ლუცკაია. შესავალში ზოგადად ეხება პ. ოცხელის  
გამოფენას და მხატვრობას, შემდეგ განიხილავს 1963 წლის თეატრალური სეზონის  
თბილისის თეატრებში მის მიერ ნანახ სპექტაკლებს. იგი საუბრობს რეჟისორულ, სცე-  
ნოგრაფიულ, ქორეოგრაფიულ და შემსრულებელთა სამსახიობო ოსტატობაზე. აღწ-  
ერს მარჯანიშვილის სახ. თეატრის, რუსთაველის სახ. თეატრისა და ზ. ფალიაშვილის  
სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის დადგმებს.



1964 წ. 27 აპრილი. ნაბეჭდი. სტენოგრამა. რუსულ ენზე. 25 ფ.

### მოსაწავში გარათები

9. „პეტრე ოცხელის ნაწარმოებების გამოფენა“. საქ. თეატრალური საზოგადოება, საქ. მხატვართა კავშირი და საქ. მხატვართა ფონდი.

1963 წ. 31 მარტი. დასტამბული ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

10. პეტრე ოცხელის გამოფენის განხილვა „პეტრე ოცხელის შემოქმედება“. მომხსენებელი დ. ჯანელიძე. საქ. თეატრალური საზოგადოება, საქ. მხატვართა კავშირი და საქ. სამხატვრო ფონდი.

1963 წ. 15 აპრილი. დასტამბული. ქართულ და რუსულ ენებზე. 2 ცალი.

11. პეტრე ოცხელის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა ქუთაისის მხატვართა კავშირის საგამოფენო დარბაზში. საქ. კულტურის სამინისტრო.

1983 წ. 14 იანვარი. დასტამბული. 5 ც.

12. პეტრე ოცხელის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. საქ. თეატრის, მუსიკისა და კინოს სახ. მუზეუმი.

1998 წ. 11 აპრილი. დასტამბული. 2 ც.

13. პეტრე ოცხელის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა ლონდონის სამეფო ნაციონალურ თეატრში. საქ. თეატრის, მუსიკისა და კინოს სახ. მუზეუმი, საქ. კულტურის სამინისტრო.

2000 წ. 18 ივლისი - 2 სექტემბერი. დასტამბული. ინგლისურ ენაზე. 1 ც.

14. „ქართული მოდერნიზმი 1910-1930“ გამოფენის გახსნა და ნიგნის პრეზენტაცია. თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“. ორგანიზატორი თბილისის გოეთეს ინსტიტუტი. პროექტის ავტორები: მაია ციციშვილი, ნინო ჭოლოშვილი.

2005 წ. 29 დეკემბერი, 2006 წ. 9 მარტი. დასტამბული. ქართულ და ინგლისურ ენებზე. 1 ც.

15. პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია: „ტრადიცია და ნოვატორობა ქართულ სცენოგრაფიაში“.

2007 წ. 20 დეკემბერი. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტი. დასტამბული. 3 გვ.

16. პეტრე ოცხელის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა. ორგანიზატორი საქ. თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმი. საქ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

2007 წ. 2 დეკემბერი. თბილისის ისტორიის მუზეუმი „ქარვასლა“. დასტამბული. 3 ც.

### სხვადასხვა

17. ქუთაის-ბათუმის სავაჭრო სახლის „Торговый Домъ ГР. Оцхели съ С-ми Кутаисъ-Батумъ“ სატიტულო ფურცელი. ჩანაწერები უ. შექსპირის „ოტელო“-ს დადგმასთან დაკავშირებით.

უთარილო. დასტამბული. მინაწერები ლურჯი და შავი ფანქრით. დაზიანებული. რუსულ ენაზე. 3 ფ.

18. პეტრე ოცხელის პერსონალური გამოფენის ექსპოზიციის გეგმა. ნამუშევართა განლაგების სქემა წარწერებით.

უთარილო. ხელნაწერი. ხელმონერა გაურკვეველია. ფანქარი. მილიმეტრიანი ფურცელი. 83 X 107 სმ. 1 ფ.